სსიპ ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო''-ს

მრჩეველთა საბჭოს გადაწყვეტილება N01-01/01

(ოქმი N1)

ქ. ბათუმი 22 იანვარი 2016 წ

სსიპ ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო''-ს მრჩეველთა საბჭოს წევრების ჰონორარის ოდენობის განსაზღვრის შესახებ

,,მაუწყებლობის შესახებ'' საქართველოს კანონის 35[4] მუხლის მესამე პუნქტის თანახმად:

1. მიმდინარე 2016 წლის განმავლობაში სსიპ ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო''-ს მრჩეველთა საბჭოს წევრთა (მრჩევლები) ჰონორარისა და კანონით განსაზღვრული ფუნქციების შესასრულებლად საჭირო ხარჯების ოდენობა განისაზღვროს სსიპ ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო''-ს ბიუჯეტის 1.5%-ის ფარგლებში, რაც შეადგენს 99225 ლარს. ,,მაუწყებლობის შესახებ'' საქართველოს კანონის 35[4] მუხლის მესამე პუნქტის თანახმად ჰონორარისათვის გამოყოფილი თანხა არ უნდა აღემატებოდეს ბიუჯეტის 1%-ს, შესაბამისად სსიპ ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო''-ს მრჩეველთა საბჭოს წევრთა (მრჩევლები) ჰონორარისათვის გამოყოფილი თანხა არ უნდა აღემატებოდეს 66150 ლარს.

2. განისაზღვროს სსიპ ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო''-ს მრჩეველთა საბჭოს წევრთა ჰონორარის ოდენობა და დამტკიცდეს თანდართული რედაქციით.

3. განისაზღვროს სსიპ ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო''-ს მრჩეველთა საბჭოს აპარატის თანამშრომლების ჰონორარის ოდენობა და დამტკიცდეს თანდართული რედაქციით.

4. გადაწყვეტილება გამოქვეყნდეს ვებ-გვერდზე ,,ajaratv.ge''.

5. გადაწყვეტილება ამოქმედდეს 2016 წლის 01 იანვრიდან.

დანართი: 2 ფურცელი.

სსიპ ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო''-ს

მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარე

ზაზა ხალვაში

დანართი 1

სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო"-ს მრჩეველთა საბჭოს წევრთა (მრჩევლები) ჰონორარის ოდენობა

N	პოზიცია	რ-ბა	ჰონორარი	სულ თვეში
1	მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარე	1	1125	1125
2	მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე	1	1112.50	1112.50
3	მრჩეველი	3	1091	3273
	ჯამი			5510.50

დანართი 2

სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო"-ს მრჩეველთა საბჭოს აპარატის თანამშრომლების ჰონორარის ოდენობა

N	პოზიცია	რ-ბა	თანხა	სულ თვეში
1	მრჩეველთა საბჭოს აპარატის სამართლებრივი უზრუნველყოფისა და საქმისწარმოების სპეციალისტი	1	1125	1125
2	მრჩეველთა საბჭოს აპარატის მდივანი	1	250	250
	ჯამი			1375